

1861

ი ჟ ნ ი ს ი .

წელიწადი მესხეთ.

ჩივლები თსზულებათა:

- I. — სიგეუ, დასულავებაზე კ. მ. ხახანოვისა.
- II. — მსუგური შუის ვება. თ. რეკ. ბარათოვისა.
- III. — ლექსები სსუ ჯ სსუ მწერალთა.
- IV. — წიგნი რედაქტორთან. იოს. შამცაშვილისა.
- V. — გზის მოძებნა. თ. ხოლო ვურგენიძისა.
- VI. — წერილი რედაქტორთან შესებ
 თ. იო. ჭავჭ. (განგაძელები). თ. გ. ბარათშვილისა.
 — მსუხი თ. იო. ჭავჭავაძისა.
 — უსტარი ანტიკრიტიკული, თ. ილია
 ჭავჭავაძისადმი. ს. ალექსიევ-მესხიევისა,
 — სსუ ჯ სსუ ანბავი. (იხილეთ მორე ვაუდზე).

რეილისს.

ვერესელიძის ციმოვრაქიანი.

სიციყუა

უამსა დასფლავებისსა, გარდაცულებულის
თავადის იოანე ქსნის ერისთავის ასულის ცნიაყნა
მარიამისა, თქმული იკორთის ეპკლესიასა შინა,
ბოლოჩინის მღუდლის სოლომონ ხახანოვისა-
გან. 1858 აგვისტოს 16-სა.

19.

«აღესრულა მკირეთა ღლეა ზე აღმსარებლისა
პრავალნი გრძელნი, რამეთუ სათხო იფარე უფლისა
სული ამისი» ესრეთ ღალადებს ბრძენი სოლომონ.



ქრისტეს მოეჭუარენო!

მოწმობისამებრ დაბადების აღმწერელის მოსე
წინასწარ მეცყუჭლისა მეცა მოგასსენებ თქუჭნ,
რომელ გარდახდა რა მცნებასა შემოქმედისა თვ-
სისასა ჰირველ შექმნული კაცი დამ, უსრწნელე-
ბისა წილ დაიმკვდრა მან სრწნილება ზე მასთან
უკომოდ სიკუდილო, დესაჯა მის ცხოვრებისაგან
განსვლა შეურაცხებით ზე ცოდთა თვსთა ესე დაუძ-

კვდრია მან, ვითარცა ხარკი თანამდებ ცოდვისა.

მაშასადამე არა საიტგვო არს, რომელ უამიერი ესე სიკუდილი ანუ ვარდაცუალება არს საზოგადო მსუჭდრი ყოველთა კაცთა, გამოურიცხავათ ყოველთა აჰსაკთა ჭსქესთა, დიდთა ჭ მუკირეთა.

მაშასადამე აწ აქა მდებარემან ქსნის ერისთავის ასულმან კნიაუნა მარიამ აღასრულა, ვითარცა ადამის ტომმან მიუყვილებელი ვალი უმღურებისა, რომლისაღმიცა მოულოდებელად მოიწია ბმანებამან ლუთისამან ჭ ესმა ამას სიციყუა ესე, ვითარცა პირუჭლსა მაშას ჩუჭნსა ადამს: «მიწა ხარ ჭ მიწადვე მიიქეც» მე საგსადვე, აწ უყამოდ მოჭკვეთა ესეცა ცელმან სიკუდილისამან ჯერეთ ახალ-ყვაგილოვანი, სრული ყოვლის კეთილ-თვსებითა ჭ გონიერებითა. თუმცაღა აღესრულა ესე მუკირედთა დღეთა, ვარნა აღესნა ამან უამნი მრავალნი გრძელნი, რაჰეთუ სათხო იყო სული ამისი უფლისაღმი ლუთისა ჩუჭნისა; თუმცა ვარდაცუალება შემდგომად მოკლე უამიერისა სნეულებისა, ვარნა მარადის განმსადებულ-ყო ესე ლოცუთა ჭ გვდრებითა წინაჲ ლუთისა, მოქენე მისისა წყალობასა ჭ შეწევნისა.

თუმცაღა არა ჯერ-არს განვაქიქო მე, მუჴდნი ჭ კეთილგონიერებრივნი ქველის საქმენი მისნი,

აქა შემოკრებილხო მქანო ჭ ნათესაგხო მისხო,
 თუთ უწყით კეთილხო თუხებანი ამისხო, სოლო
 უცნობთა მე დავარქუენებ, რომელ ესე ნეტარად
 სსენებული იყო აღსაესე ყოვლის კეთილგონიერუ-
 ბითა ჭ სიძარლითა, რაოდენსაცა დაიციეს ბუნება
 მდედრისა ესე იგი: უუუარდა მას ღმერთი, ვითარცა
 დაქსწერს, მასარებელი: ყოვლითა სულითა ჭ ყო-
 ვლითა გონებითა, ამასთანავე უუუარდა მქანი ჭ
 მოყვასნი, ვითარცა თავი თუხი, მაშასადამე ამით
 აღსრულა მან მცნებანი ღმერთისანი.

გვალად გიცუვ: ესე იყო ფრიად კეთილი,
 გონიერი, მოძთმინო, უზაკველი, უბიწოებისა
 დამტუტელი, იყოცა წმინდა გულითა «ნეტარ იყვენ
 წმინდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი ახილან!»

ესე მცირე წლოვანებთანავე განსწყალებულ ჭ
 წვრთილ იყო მამისა მიერ თუხისა, სიბრძნის
 მოყვარის თავადის იოანე ერისთავისა მიერ ყოვ-
 ლის კეთილის სწავლითა, ამან უწყოდა, რომელ
 ყოველივე დიდება ამა სოფლისა მსწრაფლ წარმა-
 ვალ არს, ვითარცა ყვაილი ველისა, ამისთვის იგი
 არა რასა არა ზრუნვიდა დროებითის დიდებისა ჭ
 ამოებობისათვის, არამედ მარადის იყო ლოცუბასა ჭ
 გედრებასა შინა, დღე ჭ ღამე განუშორებელ იყო
 კელთავან მისთა კითხუა ფსალმუნთა, სულისა

დამაცხოვრებელთა. დღე ზ ღამ იწვითა და ზ შესძინებდა ასალასალთა მსწავლათა საღმრთოთა წიგნთაგან.

დიდება განცებასა ღუთისასა! ესე ვითარის მოქმედი აწ უხმოდ ზ უსულოდ მდებარე არს!

ოხ! ვიხსენებთ სრულთ ზ კეთილ ზრდილო, ვითარ დასცნისა ღუთის მცვეტქლი, ცბილათ მოუბარი ენა შენა; ოხ! ვითარ დადუმებულსარ ზ არა რისა მომიგებ შე მოძღუარსა შენსა, ჩუტულებისაებრ შენისა ჩასუსსა, საღმრთოასა წერილისაგან; ოხ! მართალო სულთ, ჭეშმარიტად განჩინებითა ღუთისათა, თუმცა მოაკლდი შენ ამა სოფლისა კამიერსა სისარულსა ზ დიდებასა, გარნა ღუთისა მცნებათა აღმასრულებლო, შეგედ სისარულსა დაუსრულებელსა უფლისა შენისასა!

სულთ მართალო! მოგედ ზ განისვენე შენთვის გამზადებულსა საგანგსა, ასლოს საყურაელისა მამისა შენისასა, შემდეგომად სიკუდილისა როძლისაჲსა რაოდენსაჲმე წელსა, გადამაცხოვრებლისა შენისა მიზნაჲში სიყურაელისა გამო მოაკლდი შენ თვალთა სინათლესა; გარნა წვედარდამო განცებითა, ლოცვითა ზ ვედრებითა შენითა წინაჲმე ღუთისა კვლად იქმენ შენ განკურნებულ, ვითარმედ შემთხვევა ესე უკვრდათუცა მრავალთა მცნობთა შენითა.

წმინდომ იგორის ეპკლესიავ! კეთილად მი-
 ილე ჭ შეიწენარე ვუამი ვანსუწწყულის კნიაჟნა
 მარიაშისა, მუნ, სადაცა ვანსუწწყულებენ მუჟონი სა-
 უტარელოსა შამისა მისისანი, შეიტკებე იგი წიალთა
 შინა შენთა, სადაცა მდებარე არიან ნაშანი წი
 ნანართა მათთა, თაგადთა ქსნის ერისთავთანი.
 სოლო თქუწწყა წმინდანო მოწამენო, ქსნის ერის-
 თავთაგანხო: შალგა ჭ ელიშბარ! მიილეთ ჭ თქუწ-
 თანა აღრაცსეო ერთეუაროვანი თქუწნი სიწმინ-
 დისა ჭ შუჯობის მოუტარე კნიაჟნა მარიაშ, ჭ
 წარუგელვთ მას წინაშე ქრისტესსა, რომლისათჳს-
 ცა სისსლი დაჰსთხიეთ, კადნიერება ვაქუთა შეო-
 სებად ჩუწნდა.

თქუწწყა აქა შემოკრებილხო ქრისტეს მოუტა-
 რენო ერნო! უფალსა ვგედრენით, რათამცა აღრაც-
 სილ ლირს იქმნას აწ აღსრულებული კნიაჟნა
 მარიაშ მართალთა ჭ მოღუწეთა თანა სასუფევე-
 ლსა ღუთისასა. ამასთანავე მოვაგონებ თქუწნი,
 რათამცა სახედ ვვაქუნდეს ესე, რომელ ჩუწნი ყო-
 ველთა მგზავსადვე ვგვეულებების აღსრულებად ჭ
 წარდგომად წინაშე საყდართა ქრისტესთა. არა
 უწყითა, არა სედავთა, არა ვულის ხმას ჰყოფთა?
 რომელ ყოველივე მიწისაგანნი გამოურიცხავად
 აღსრულებიან მეფენი ჭ მთავარნი, მდიდარნი ჭ

გლახკანი, მოსუცებულნი ზე ტახუკნი მტარე წლო-
განათანა, ამისთჳს მარადის განმსადებულ იყავით,
რამეთუ არა იცით ოდესცა მანაგი იგი მოვიდეს
ზე წარცაყებულ-გიქმნეთ, ამისთჳს მოხამაგი იყ-
ვით კნიაჲს მარიაძის კეთილ-გონიერებისა, შეპი-
ნებითა მარადლე კეთილთა ზე ღუთაგ სათნოთა სა-
ქმეთა, მიმეყანებულთა საუკუნოჲსა დიდებისადმი.

გასსოგდეთ ყოველთა, რომელ ამა ამოისა
სოფლისა ყოველივე დიდება, შუქება, განცხრომა-
ნი, სიმდიდრენი ზე ღირსებანი, ვითარცა შევესა
შინა თვალთსა მსწრადელ წარმადგალნი ქუჭყანასა-
ვესა ზედა დაძებთან; სოლო ჩუჭნთანა მოგმა-
ური იქნებთან კეთილნი საქმენი ზე საუკუნოდ
ჩუჭნთანა დადგურებთან, ესე იგი: მარადლე ლო-
ცუ, სინანული, სიმშჳდე, მოთმინება ზე ყოველი-
ვე მეზავსნი მათნი, რაჲცა არიან ნაყოფნი სუ-
ლისანი.

გასსოგდეთ მანო, რომელ თქუჭნი სამკვდ-
რებელი ზე მოქალაქობა ზეყათ შინა არს, ამის-
თჳს ემიებდით პირველად სასუფიველსა ღუთისა
სა ზე ყოველივე შეეკმინოთ თქუჭნი.

ზე ესრედ, შე, ვითარცა მსახური წმინდისა სა-
კურთსეველისა ეუღს მოდგინედ ვივედრები ყო-
ვლად მოწყალესა ღმერთსა თქუჭნი ყოველთათჳს,

ზ ევროთვე, რათა მცა მოანიჭოს უფალმან მწუსა.
 რეთა ზ მგლოვარეთა ამათ, ვითარცა მოსუცე-
 ბულსა მშობელსა მიცუალებულისასა, ვარჯვე
 მათა ზ დათა ამისთა მოთმინება ზ ნუგეშინის-
 ცემა, სოლო სული გადაცუალებულისა აქა მდე-
 ბარისა ნეჯარსენებულისა კნიაუნა მარიამისა და-
 წესოს, სადაცა მართალნი განისუწნებენ წიალთა
 შინა აბრამისთა, მეოსებითა ეოვლად წმინდისა
 ლუთის მშობლის მარიამისთა ზ ეოგელთა წმინ-
 დათა, ზ იყავნ სასსენებელი მისი უკუნიითი უკუ-
 ნისამდე ამინ.

მხეცყური შუკრის გება იტალიელის მხატვრისა.

(რუსულით.)

ორნი ვაცნი ისხდნენ ვაჭის ფანჩატყურში, პავლიონის კარებთან. დალია რა პირუშლი სტაქანი ლოკრი მოკრისცის ღუნისა ერთმან მათგანთან, პლაში წამოსხმულთან, ყუთხრა მეორეს:—მაშ თქვენ იცნობდით აგორაგინახს, კანიტანო?

—დაახ ვიცნობდი.

—ყოყოთ, იმ დროს, როდესაც იგი დიდათ სახელთ განთქმულიყო ბრეშის ქალაქში.

—დაახ, ბატონო, იმ დროს, როდესაც იგი ისახელით ვნებოდა ბრეშისა, პადუისა, ბოლონიისა, პარმისა, ვენეციისა ქალაქთა... მრთელს იტალიაში.

— რაღა ვიოხვა ყუნდა, კაპიტანო, მაშინ იქნებოდით ზედნიერი მისის სიყუარულით... რათა ღირს თუნდა მხოლოდ მოწონება მღვთაებრივისა მომღერლისაგან, რომელიცა ყოველსა შლიდა ჭკუვიდგან!

— ჰო, დაუკვებნელად ვსიქნა, მე მოვსწონდი მას

— რა გასაკვრველია! კაცი ყმაწული, მშუშნიერი, მდიდარი, გუსარის მუნდრით... თქუშნი იბოვება ყოველი იგი ღირსება, რომელიცა მოსწონთ თეატრში წარმოდგენელთა ქალთა. მართლთავე უყვარდით მას?

— იგი მხოლოდ იწყობდა ჩემს ძაყვარებას. ეს ანბავი არ არის თქუშნოვს სანუკარი.

— არა, არა: ჩემოვს ყოველიოვს სასიამოვნოა გავონება მისი, რაც შეეხება ხელთნებასა ჭ პოეზიასა. დავეჩვეე, გამოხვლისა მიმართ სასწავლოებელიდგან, აღცაყვას გართობით იტალიის ბუკობუითა, ჭ ამისოვს ჩემოვს სასიამოვნოა ყოველიოვე იგი, რაც მათ შეეხებთ, შეჯადრე ჟორჟინს.

— რადგანაც შეგას ბძანებთ, მე დიდის სიამოვნოთ ვიბძავბთ, როგორ გავიცან ჟორჟინსა.

პლაშჩინა ვიდევ დაუსხა ღვწო გაპიტანს,
რომელიმანცა ვადაისო ხელი ქერა ყუთვა-
შებზე ზე დაიწყო ანბავი:

— იქნება ოთხი წელიწადი... არა, ხუთი
წელიწადი იქნება მას აქეთ... ჩუქნი პოლოვი
იღვა ბრეშის ქლოქში, სედაც ჯორჯინა
თავისის მშუწნიერის სიღერით აღიტაცებდა
ყოველს სულს. მე ვნახე იგი მხოლოდ
სამჯერ, ზე შემოყვარდა ვაგიუებით.

— როგორათაოც ყველას.

— მაინც, როგორათაოც ჩუქნი აქიტრებს,
არაოდეს ჯერ თვალთა ქლოისათა არ აუღე-
ლებათ იმ ხარისხთ გული ჩემი. ეს მან
მალე შემამცნა, ვარნა არა ფიქრობდა ჩემს
შებრალებას. მე ყუგზავნიდი მას თაიგულის
თაიგულობზე, ბარათს ბარათზე, — ვერამ ვერა
მიშველარა — ჩემოვს აღარ იყო ყავლი.
პრიმდონას ყუყვარდა მაშინ რომელიდაც
შხატვარი.

— შხატვარი?

— შგონა. ის ყუხიავი ვაცი ვჭკვსა სდებ-
და მას საზოგადოებაშიც; ვერავის ვერ
შეედლო მოსწონებოდა ჯორჯინა; ამას
ვარდა შხატვარი ამირებდა მის შერთვას. მე

ვიღებაც ვფიქრობდი დაშეცვებინა ყოველი-
ვე იმედი, როდესაც უეცრათ... ერთხელ
შივდივარ მე წმინდის იაკობის შეიღწით:
ვიღაცა გამდელი მაყენებს & წყნარათ მამ-
ლევს ერთ კონა სიგარას; ვავსენ შივ დევს
ბარათი.

— ჭორჭინასებან?

— დიახ.

— ბედნიერი ჰყოფილხარათ! რასა გწერდათ?

— მრავალს სიტყურებს; მხოლოდ იმ ბა-
რათის დასასრულს ეწერა: „მოდით ხუალ
ბინდისას, ვიღოთა მონტეფიოსკონეში, მე
თქვენ გეთათი“

— თქვენ, რასაკვრველია, აასრულებდით
თხოვნას?

— რა გუბარი ვითხუა არის! მსწრავლთ მი-
ვაჭენე ვიღოთა მონტეფიოსკონეში.

— დიახ, მაშინ იქ იყო დღეობა. განა
თქვენ იყავით მიწვეულნი?

— არა, ჩუმათი გადავიპარე. სახლი & ბა-
ღი იყო მშენიერათ განათლებული. მაღალში
მხიარულიობდა ხალხი & ბაღშიაც დასვირნე-
ბდენ მრავალნი, & ყოველგან ლაპარაკობ-
დენ მხოლოდ ერთხელ ჭორჭინასხედ, რო-

მელიცა ზიელი ორი წელიწადი შექცევდა
ზრემის ქალიქს. მეორე დღეს მას უნდა
ემდერა უკანასკნელათი თუს ზენეჩისში.

— იქ, აღბათ, შეიკრიბნენ მისთუს, რა
თა ენახათ იგი ზე გაეგონათ მისი სიმღერა.

— შეიკრიბნენ ყოველის მხრიდგან; გარ-
ნა ეს არაფერი. შევდივარ მე ბაღში ზე ვხე-
დავ: ერთი განმარტოებულის ზორცვხედ დგას
ქალი თეთრის კაბით, დაწნული ყვავილების
გვირგვინით თავზედ, ის იყო დაყუდებული
მარმარილოს მოაჟღერებედ.

— როგორათაჲ იყლია, როდესაჲ მოე-
ლოდა, თუსსა რომეოს.

— სწორეთი. მეწაველი ზირ ზე ზირ მისკენ, ჩემის
ჟუხის სმადროზამ გამოაზრუნა იგი თიქრობიდგან.

— «თქჳსნა ხართ, კაბიტანო გერნისო?»
მითხრა მან სმითა, რომელიცა არ ემსგავსე-
ბოდა ამ ქვეყნის სულიერთი სმას. — «დაახ, მე
ვახლოვარ კაბიტანი გერნისი: მე შემოვიპარე
აქ ზე გემებლით თქჳსნ ყოველიგან, ეხლა ვნა-
ხეთ ზე დიდად ზედნიერი ვარ.

— «მე დიდათ მადლოზბელი ვარ თქჳსნი,
მითხრა მან იმავე სმითა,» არ ვიცა რისგან,
მე შილათ ვითრთი; მეშინიან, რომ აყული.

ოჲ არ მოგვასწროს ჩუჲს აჲ »

— ჩუჲსო! შეგსახე მე, ვინ არის ეგ ჩუჲსო?

— ვაჲ, რომელსაც მე, საუბედუროთ, მივეცი პირობა შეერთება, ის არის ჩინებულთა მხატვარი, ვარნა არის ვაჲცა ცოფიანი. სიყუარული მისი მამძიმებს ვითარცა ქუა.

— თქუჲს მართლსა ბძანებთ მაგათ?

— დიხ, მხოლოდ თითონ ძრწოდ. მსწრადელი შემოგვესმა ხმაურობა, ჳ ჩუჲს დავინახეთ რამდენიმე ვაჲნი, რომელნიცა ანაუბულის ფარნებით მოდიოდნენ ბორცუსკენ. — ესენი მე დამეძებენ, მითხრა ჩორჩინამ. მე უნდა ვიმღერო. შემებრალე, ჩემო გერნიხო ჩქარა წადი. — მძვდობით, ჩემო ჩორჩინაჲ! უთხარ მე, ვაჲოცე მას გელზე ჳ დავეძვ ხალში. აჲ მე მოვიხედე. აღტაცებულმა ჩორჩინამ გამოგლიჯა ყვაველი თვის გვრგვნიდგან, წაიძრო თითითგან ბეჭედი, ვადმოძიყარა ერთიც ჳ მეორეც ჳ მომადახა: «ესენი შენ, ჩემო სასურველო!»

— მაგითი დასრულდა თქუჲსნი ანაჲვი, ვაჲიციანო?

— თუთქმის. მარამ, მომიჯინეთ. მეორეს

დღეს თეატრი იყო მშენებრთა გაბრწყინებული. დანიშნული იყო წარმოსადგენად სემირამიდა ფორფინას ბენეფიქსი. მთაწყდა მრავალი ხალხი თეატრის კარებს ზღვრულდნენ მუნ ჟაჟანი. ერთი წამს დაიჭირეს ყოველივე ადგილები, ზ მრავალი ცნობის მოყვარებით იყვნენ გაჭვდილნი კარებები ზ კიბეები. აქ ყვროდნენ, იქ ჩხუბობდნენ. სმაყრობა იყო სმინელი—თეატრი იძროდა; შემდეგ ერთბაშით შეიქმნა ჩუძობა — დაუკრეს ყვერცაყრა.

— რატომ აღარასა ბძანებთ ფორფინასზედ?

— მომიბინეთ. ყვერცაყრა დაუკრეს, ფარდა არ იწევოდა, საზოგადოება გამოიჩინდა მოყუბმენელობას, — გამოყუბხიდნენ ფორფინას — ფარდა არ იძროდა. ყვრილი ემატებოდა, სული კიდევ არაფერი. დასასრული მოყუბმენელობა იქცა გაყოფებად: მყურებელითა დაიწყეს სკამების მცვრევა, ექადებოდნენ ხომლითაც დამცვრევასა. ეს ვრძელდებოდა ერთი საათის მეოთხედის; დასასრული ფარდა აიწია, გამოვიდა სენებაზე რეჟისორი, სამყვერ მოყუბარა საზოგადოებას თავი; ყველანი ვჩუბდნენ: „მოწყალიერთ

ველოქი იუენო, ჰსიქუა მან, პრიმადონა ჟორჟინა დაიკარგა .. იგი ვერ ვიპოვნეთ. » საზოგადოება, დაღონებული, წავიდა წამოვიდა სახლებში, ვერ ასწიდნენ მას, თუ ეს რას ნიშნავდა. — მე წავიდა მან საზოგადოებაზე უფრო შეწყობილი ზ მას აქეთ აღარ ვიცი რა ჟორჟინასი.

— მაშ თქვენ არ იცით რა შეემთხვა ჟორჟინას?

— არა. ყვავილი მისი დაჭვნა ზ დაიფურცლა, ხოლო ბეჭედს ყოველთვის ვატარებ ვუთხრე .. ვუ რა მოვივიდათ? ... რამ მოგაგონათ სტაქნის ვატყვა?

— ისე .. ძალიან არა. — გასაშტერებელი საქმეა! მე, როგორც თქვენ ანბავს ყური მოვკარ, დანაშაუნი მე ვიცი, სწორეი ამ ადგილიდან, სადაც თქვენი ანბავი თავდება.

— როგორ? თქვენ იცით, რა შეემთხვა ჟორჟინას?

— ვიცი.

აქვე აფიქარმა დაუსხა ღვინო თვის ამხანაგს ზ, დალია რა თუთანაც, ყოხნა:

— მაშ მიანზეთ, თუ დძერთი გქამთ.

კაცმა, შავის პლაშით, დაიწყო ანბავი.

—სწორე იმ საღამოზედ, როდესაც
 პრიმადონა ყნდა ყუანასკნელთა წარმოდ-
 ვარიყო სცენაზედ, იგი ირთუებოდა თვს ჰა-
 ლოცოში. ამასთან იყო აყულოთ — ის მხ-
 ცვარი, რომელიც აქორჟინამ დაგისახელათ
 თქვენ ბაღში. აქორჟინა მოიწიოთ ბაბილო-
 ნის გელმწიფად. აქერ არაოდეს იგი არ
 ყოვილა ესრედ მშუწნიერი. დიდროვანნი
 თვალნი მისნი ყლავდენ გრძელთა წამწამ.
 თა ქვეშე, ვითარც ბრილიანტნი, შემოჭვლი-
 ლნი ღაღაცით. ელვარენი თმანი მისნი შე-
 ადგენდენ შერთაღთა ღოყათაზედა მისთა
 ყსწოროსა ხაზსა, ასეთსა მშუწნიერსა, ვი-
 თომც თუ თითონ რაჭაელს გვესოს იგი.
 ცუჩითა აქორჟინასათა ყუვლიდა მოსცათყ-
 ნებელი ღიმილი. შეხედა რა მას აყულოთ,
 გელარ შესძლო მეტათ შემავრება თავის თა-
 ვისა. მას სტანჟავდა ციება, თრ ნაირი ცა-
 ება: გულისმოდგინებისა ჭ შევარდაშთავო-
 ნებისა, ავთიმყოფობა, რომელიცა ვადააქცევს
 ვაცსა საცნათ.

—რა ჰქნა აყულოთ?

—მან ყთხრა საყურადღოსა: «შენ ეხლა ვი
 დასასრული ხარ ჩემი!» — თჳ! მომიბინე,

აყუთიო, სთქუა აორჰინამ; ეხთავი დიდს
 ხანს აღარ გალოდინებ: მხოლოდ ერთი დღეს!
 — «ახ. აორჰინავ, როგორი თავის მოყვარე-
 ხარ: შენ ყმჰოზეს შერაცხ სახელოვანთქ-
 მყოლებას, ვიდრე სიყვარულს!» — «როგორ
 არა გრცხვენიან, აყუთიო! მე, მეონია, არა
 გთხოვ დიდს ვადას. ეს იქნება ყუანასენელი
 დღე ჩემის სახელოვნებისათვის. მე პირობა
 მივეც ზე ვერ გავტყებ მას. შემდგომ ამ სე-
 მირამიდის წარმოდგენისა, მე — შენია.» აყუ-
 თიომ არა უპასუხარა, მხოლოდ უყვარად
 შემოიკრა ველი მუბთში, ვითამც ბრწყინ-
 ვალე აზრმა გაყულო მას თავში.

— «ძარილო, დრო არის ჩუშნის წასვლი-
 ს.» სთქუა აყუთიომ. იგინი გავიდნენ. ვა-
 რებთან იდგა ვარეცა. ვიდრემდის აორჰინა
 ჩაჰდებოდა შიგ, აყუთიომ წასჩიყჩიყო
 მწაუველს რავდენიმე სიტყუა.

ვარეცა გაქანდა. — «ეს სად მიგყევარ,
 აყუთიო?! შესძახა გაშუთიებულომა აორ-
 ჰინამ; ეს გზა თეატრისკენ არ მიდის, მიე-
 ლი ქალბქი მეღის მე იქ, — ჩუშნ ეს პო-
 დესტას ქუჩაში ვარო, ახლოვს შენის სახე-
 ლოვსწოლისა.» აყუთიომ არ უპასუხა არც-

თუ ერთი სიტყვა კარგა დაღა ზ მსა-
ვარმა ხელით აყვანით შეიტანა აორჰონა
ოვსს სამხატვრო სახელოსნოში.

— «ოჰ! რას შივიქრებს ბრეში? მსოქუა
მომღერალმა, რას ივიქრებს ნეაოლი, ბო-
ლონია, ვენეცია? შენ მიკარვამ მე ათის
წლის ნაღაწ ნაყოფს, აყულო!» — «მე
მაგას რას დავდეგ! ყუბასუხა მსატვარმა. სამნი
ათასნი ხელნი დავიკრავდენ შენ ტამს ზ
გადმოვიყრიდენ ყვავილებს; ხოლო მე ვერ
მოვისვენებდი მაელს დამეს; მე გავიტანა
ბოდი შურით, იმ ჰაზრით, რომელს სხვანი
დასტებებანი შენის ხით, შენის სიმ-
შენიერით, რომდესაც მხოლოდ მე შენის
ფიქრით... მაშინ აყულომ გადასწავა ფარ-
და ზ გამოაჩინა საზარელი სურათი; — «ხედავ
აშას, ყუთხრა აორჰონას; ავაზავნი
დახვედრიან მე შავროთა? ამათ დაუხორცავთ კა-
ტები ერთიანათ; დარჩომილა ერთი მხოლოდ
დედაკაცი, ზ მტრკველნი აწვალებენ მას,
მსხივლოეცენ ხანალოებითა, რათა გაცეხონ
სადა აქუს მათ შენახული თვალმარგალიტი.
ეს მსატრობა აქერ არ დამისრულებია, ამი-
სათუს რომელს ვერ ვბოვე ქალი, რომელიც

ღირს ყოველიყო აქ ჩასახტავდ. ეხლა მე ვადმოვიღებ აქ შენს სახეს, & შეიქმნება უკვლავი.»

— «შემიწყალოე, ჩუყლიო! აქ ყუნდა ტან-ჩუა, ყვირილიო. ხოლო მე ყურრო ვარგივარ მისთვს, რათა ვადაილო ჩემგნით სტატყუა სიტკბოებნისა, მეტადრე ამ ტანისამოსში.»

— «მაგასაც მალე უშველიო... მაიგლია ჩუე ყვა-ვილები! მაიგლია ჩუე მანტია!... ვახიე ვორ-სეტი!...» — «ოჰ, შემიწყალოე, ჩუყლიო, ეს რას ნიშნავს! მე სულაც არ მსურს ვიყო შენის სურათისათვის ამ ტანჩუაში... შენ ჭკვაზედ შეიშალოე! როგორი საკვრეველი თინია!»

— «თინია!... არა! შენ ღანახამ, რომ ეს არარის თინია. ამ საათში დაუძახებ ბიჭებს, რომელნიც დაგიწყებენ შენ ტანჩუას. ვაი-ზეარ ხელები & მახოვე შებრალება... გარნა არა. იგინი არ შეგებრალებენ შენ... ვაგავ-რავენ შენ ბომზედ... დაგიწყებენ ჩხვლოტას ხანჩლოებითა... თჰ! რა ვარგი სანახავი ხარ შენ ეხლა, ჩორჩინა!»

— «განა ჩუყლიომ მართლო მიაკრა ჩორ-ჩინა? ჰვითხა ვაბიტანმა.»

— დახ. მან მიაკვრევინა იგი ზომხვედ ჭ, რადღაცა უჭკვირბითა, ხატავდა თვს სურათს, ხოლოც ღრთით ჭ ღრთით სჩხვლეცდა საბ- რალოც ფორფინს ხანალოც. «ფულოც! ფულოც! შემბრალე!» ვითდა იგი.

— უბედური! მასძახა კაპიტანმა.

— მსფოზს სიქუთი «უბედური მატვარი.» მატვარი იტანაქობდა ფორფინსე უმეტე- სად. მან უდალოცა მატვარს: მისცა მას თიცა საუკუნოდ სიყვარულისა ჭ სხუა შე- იყვარა. ფულოც ფოველითვს ეყებებოდა: «თუ მიღლოცებ, მიზლამ სილოცხლოცო». მოგონა რა ფორფინს მისი ღალოცობა, უკნასვენლოს, მარაქვე ხანალოცის ძვერებით მან მილოცსმა «გი ზომხვედ.

— საზარელოება! შეჭყვრა გენრიხმა. მა- რამ .. არა, თქუწ სუძროზით: თქუწ, ვეჭოზ, როგორც ძველინი ეგვიპტელინი ღაძარავოზით სიკუდილიხვედ, როდესაც ამცნევი, რომ ღვ- ნო ძალიან ამხიარულიებს. კმარა!

— განა თქუწ არა ვსურდით, რომ დამე- სრულიებინა ფორფინს ანავი?

— მსურდა; მარამ რას მოვიფიქრებდი, თუ თქუწ ამისთანა აუხდომელს საზარელო-

ბას მიანზობდით!

— აუხლომელი! თქვენ იცით მხოლოდ ერთი მხარე განთავისუფლებისა. ამასთანავე მსცნობთ დანაშაუნიც.

— არა, სავაია, ახლავი დასრულდეს!

— მაშ არა გსურთ შეიცვოთ, ჯორჯინა როგორ გადაგდეს ზღვაში?

რას ანზობთ?

— როდესაც ჯუჯიომ დასრულა თვის მხატვრობა ასწა ზოდიდან გვაში მშუშნიე. რისა ჯორჯინასი; მერე, ლამე, შეკლა ცხენ-ზედ, შემოდო იგი გარდიგარდმო უნაგირის წინა, მიაჭენა ადრიატიკის ზღვაში და გადაყარა მუნ ჯორჯინა და ყოველი იგი, რაეცა დარჩა რამე ჯორჯინასი. —

— მზაკრულსა ღენას შეგსბარისსს სს. შინელ თქვენის ისტორიისა, არა მოუგონია-რა! ის ჯუჯიომ უნდა იყოს ვეფხვი კაცის სხათ...

ანუ ავით მყოფი, შემოდილი.

— თქვენ უნდობთ მას?

— მე მეზრატეა იგი.

— მერე რაღა შეეძინა მხატვარს?

— იგი პირველით ჩადიოდა მრავალს სი-

სულელის, ცდილობდა დაფარვასა თვისს წყობილისასა ვარდამატებითა ყოველისა გვარისათა; ვარნა ეს უმეტესად ყუღუბება მას მხოლოდ სიძულელსა ჭ ვანწირ-ყოებასა ჩრდილია ჟორჟინსი, იმ სხით, როგორათც ის იყო ყვანასწუნელს დროს ჟულოის სამხატვროში, დაუცხრომელად ელანდებოდა მას თვალებში... ვძარა ხლთავი ამასედ ლაპარაკი დავლიოთ!

— არა, მე მეტს აღარ დავლოვე, დავკიანდა კიდეს ჭ, ამას ვარდა, მე როგორღაც შეყუბლოთა ვარ, სად არის ეხლა ის მხატვარი?

— არ ვატი იგი დატანტალებს ყოველიგან, სადაცა იმედი აქუს იბოვნოს რამე ჟორჟინას საკუთრება.

— ეს სულ დიდი საშინელება ჭ საკვრელება არის!

— დიდად საკვრეელია... ჰო, მე დამავიწყდა თქუშათვს მეოქუა! ჟულოიმ გაიგონა, რომელი ვაქსა, რომელიც ჟორჟინამ დაამოუბინა მას, აქუს მისი ყვავილი ჭ ბეჭედი ჭ მას აქეთ იგი არ აშორებს თვალსა მას, რომელიმც მოსტაცა ბელი.

უკანასკნელი სიტყუშში მოანბემ გამოსთქვა წუნარად ჭ მრისხანე სახით; მაშინ კაპიტანი ყოველსავე მიხვდა ჭ, წამოხტა რა სკამიდან, გაისო ხმაღს ეგლი ჭ შესყუვიკლა:

— თქუშ ხართ უყულო! მე გცნობთ — თქუშ მოჭკალით უორუენა. აგერ ოთხი წელიწადა, რაც თქუშნი შავი ჭლაში მდევს ყველგან, როგორ ჩრდილი, ახლაკი დრო არის ამის დასრულებინა — დაიცეთ თავი!

— ვიდრემდის ვიბრძოლოთ, მსთქუა ციკათ უყულოთ, (ჭლაში წამოსხმული იყო სწორეთ უყულოთ) ვიდრემდის ვიბრძოლოთ, არა სჯობს — ვადევ მოვითხოვოთ ღვნო ჭ დავლოთ?

— კაცის მკვლელო, ბოროტო, ვარეგანო... მშინარავ! მამ არ გინდა ჩემთან ბრძოლა?!

— არა, ხმალი რაღა საჭიროა — საწამლივიც კარგათ ვასჭრის.

კაპიტანს მართლათ, მოერია საწამლივი, რომელიცა ჭლაშინმა შაპარა მას ღვნოში, დაეცა ჭ შესძახა:

ოჰს! ნადირო, ასმიდო, დედაკ ..

აყულოთმ აღარ აღაზარავა ბევრი: შიშით
 გამოართო კაბიტანს ყბღოურის ხელიდგან
 ხმალი ჭ წუნარა დაიყვანა თავამდის კაბიტა-
 ნის გულში აგრ ისევ ცოცხალში; შერე
 ახსნა კაბიტანს გულიდგან ალონაინას ბეჭე-
 დი ჭ მიეცა ხეივანს დიდინით.

თ. რ. ბარათა შული.

1855 წ.

(თ. ნიკოლაძის ბრათოების ლექსებითგან.)

აღმოჰსდა მნათი აღმოსავალს, მზეკებრ ცხოველი,
მციირისა შუქით გარდუყარა ცასა ღრუბელი.
დიდ სიმუქიარო, საგდარო, ზ მერც ვლას-გული
მსწრადელ გამითინდა შავბედისგან დაღამებული.

ნუ თუ აღმიხნდი ცხოვრებისა ჩემის მნათობლად?
ნუ თუ შენ ჰგებინო შეკების სსივი ჩემს გულსა
გულად?

გულავ აღმიტყნო გულის ჭიანხი, მიერუებულნი,
ზ განმიასლო ნეტარების დღენი წარსულნი?

მამ გამობრწყინდი, მფინე შუქი ეგ საოცარი
ზ განანათლე გულადეცა ჩემი ესრეთ სასარი!

მერც კელი ვჰყო დავანგებულს ჩემსა სათურსა
ზ შევეერთო ფიქრნი ჩემნი, შენს სმას ციურსა.

დაგმღერდე მას დროს, როს გარსკვლაგი
მშვენიერის ცით

მინეტარებდა სიცოცხლისა დღესა სიამით.

მოგჭსოქვავედე თუ ვით მიმეფარა იგი მუსრფელ
 ღრუბელს,
 ბოლოს ვუმღერდე შექსა შენსა, შეგების მომ-
 ფენელს.
 ვფუცავ მლიერსა სსიგსა შენსა, ში მნათო
 ჩემო!
 ოდეს ვინილო მკირე ბინდი შენს შექს ვარემო,
 შეის დამილამდეს ამ სოფელსა სიამოვნება
 ზ შენჯს დაჭსთამო ცრფობის წინდაღ შოვლი
 დიდება.

1840 წელსა.

კენინა ხარხარე ჟორჯაძისადმი.

უცნოს კალმითა განვევინათლე მარჯის (*)ცისკარი.
 თვალით ყუყუნასა ქება უმუწნ სწორ შესადარი.
 ფენტთ დაუფინე ასანინოზი ზ აცედარი, (**)
 ნუ დადუმდები ვაგავონე ცაბილ საუბარი.
 ბუღბუღოთ ტიკტიკი, ვის არ მოჭეკრის
 ცანთა ყრყოლასა?

(*) ხეცა-ს წლისა.

(**) სხელნი ვევილოთ.

ვარდა მიწნურთა, უნუგეშოთ, განკალ, თრთოლასა.
 იგერიელნი ვევედრებით ლექსთ მიყოლასა,
 ნუ დაუტევიბ, შენა სიცუეჭების ისართ სროლასა.

ში მნათობო, კასთა შორის ზ მდებრთა სქესო,
 სწორ უპოვარო, უცხოთ მთქმელო ზ უტურფესო,
 ძრფესო უნჯო, მშუჭნირო ზ უაღრესო,
 თქროთ მოიძვის, რაც უცისკარში, კალმით დათესო!

ჩუჭნე შევებრალებ, საცოდავნი მცირეთ მწე-
 რალნი,
 მალმალ ვეჩუჭნე, ბუნებითი ნიჭი ზ ძალნი.
 მუჭლნი მწერლობა ვგაზოვნენ, მოგვეც ასაღნი,
 მით ვგანუგეშე შემომეფენი შემომმსალნი.

ზოგჯე დიდი! არ დავეშრება სიცუეჭათა წყარო,
 ჰსჯობს მას მიემართო, ვინცა შექმნა ქუჭუნის
 სამყარო,
 მან მოგამოროს, ყოვლი სენი ზ სამწუსარო,
 ვაფიქრებინოს, მცირეს თქმითა ჩუჭნე ვაგვა-
 სარო!

თავადი გიორგი თყუმანოვი.

წ. შიის, ხეა-ს წელსა.

ქ. ქუთაისით.

შმაო აღიქვსანდრე!

სულთი ზ გულთი მოძღვნილი
მცირედიც შეიწირება! —

ვიცი გაქმს კითხვს სურვილი,
მით შევსძელ კადნიერება.

ამა ლექსებით ვაიგებ,
თუ რა ცუბილია მამული. —
ქართველოზით მაშინ გაქებ,
თუ ხარ შმათა მოყვარული!...

ისწავლე ზ დაინახე,
სიყვარულს ვაყლე გული!
ზ ყუქდავად დაიმარხე
საქართველოს სიყვარული!...

შმაო! ზვერი დაგმობს ვიცა:
დაგიძრახვენ კეთილ ქცევას!...
მაგრამ შენს ჰაზრს ვეყავ მტკიცა,
მით მიიღებ შვით ვურთხევას.

როს შენს კეთილს დასცინიან,
შენ ნუ ისმენ მრისხანებით! —
რას შვრებიან არ იცინან,
მტკევებით ყვნურებით!...

თხუთმეტის წლის ქალის ქალს.

(მიბამვა რუსულისა).

I.

თხუთმეტის წლის ქალიკისარ, რაღათ გპყენის
 ხეგან რჩევა,
 მარამ რა გქნა, რომ არა ვსთქუა, გულს და-
 ლევით დამეხნევა;
 — ნეტა როგორ არა გრცხვენის ამნაირი ყოფა-ქცევა:
 დამინასამ სან წითლდები, სან გონება დამბნევა,
 ზ სან დედისკენ ვამქცევი, როგორ გმართებს
 შენ ვამქცევა?...
 — თაგვი არ სარ, არ გარ კაცა რომ შონა-
 რვით გელამუნო,
 ვაგვორდე ზ გამოვგორდე ზ სან სული გაგი-
 ტრუნო,
 სან ვიბობლო, წამოგვტურდე, შენის მსყრით გულს
 გივკბუნო,
 ვისკუნო ზ კლანჭი ვაგვრა, სვეწნაც შენი არ
 ვირწმუნო
 ზ შეგინყრო ზ უმათ, ვასმათ, ვით ცლორუა შე-
 ვსრამუნო!...
 თ. რაზვიელუ ერისთავი.

თხუთმეტის წლის ქალი.

„გიგე“ აზრი.

(შიბამეა რუსულისა.)

II.

თხუთმეტის წლის ქალი არის — ემაწულ კაც-
 თა ნეტარება;
 რაკი მნახავს შემაღება, დედას ეკვრის, ვფარება,
 აურჯოდება, გაწიოდება, მისის ვარდს ვდარ-
 ება...
 არფარ კაცა, ღმერთმან იცის, არც ის თავათ
 შეგულუბა...
 რომ ვისკუბო, კლანჭი ეგვარა, მიფაყენო რამე
 ვნება...
 — მამ რისთვისა მერიდება, მამ რისთვისა მე-
 შალემა?...

თ. რაფიევი ერისთავი.

სინანული.

(შიბამეა სწარსულისა.)

როდესაც მოუგვდე, გავუგდე, პირში არ შე-
 დგას მე სული,
 სიკვდილი ჩამსუცებოდეს, სვევსა ჭქონდეს მეო-
 ბრული,
 თვალნი, ბაგენი დამსოდეს სიკვდილს ველოდე
 შედგრული,
 მაშინ ასე სთქვ ლამაზო, სიუცუა მართალი ჭ
 სრული:
 „გაბ შენი შეგვდილო, მაშამ გულს აწ შეწვა
 სინანული!...“

თ. რაფიელ გრის თავი.

ნატვრა.

(შიბამეა სწარსულისა.)

მესისხლობა, შური, შტრობა ამისთანა არის
 განა? —
 სულის მეფეს მომაშორეს, გულს დამცეს შტრე-
 ლი დასა;

აჲ დავსწევლო ვინც ეს შექმნა, შემდეგ კელი
 ვადიანა,
 მსოლოდ ვნატრობი მაცა შესჭვლეს დღე ზ ბელი
 ჩემისთანა!...

თ. რაფიელი ერისთავი.

ნაცვრა.

(მიბამეა სწავსულისა)

თუ შესრულდები, ნეტამც მე ეს ნაცვრა ამის-
 დინაო:
 ჩემისაგ ლექსის სტრიქონში დამალა, მომუცა
 ბინაო,
 ამ ოსტატობით დამაზის ცუხებს დავკოცნო
 მინაო,
 ოდეს იგინა წამისაქმენ ამ ლექსს, ნაჯღაბს
 მისთუნაო. —

თ. რაფიელი ერისთავი.

ჩემს ქალს..

რა შემოვხედავ შენსა ნორჩობას,
სახის სიწრველეს, ყუბანვობას,
მშუწნიერებით ვით რომ მხატვრობას,
ვნატრი მსწრაფლიად წყლით წარმავალობას.

მსურს: აღმიყვავდე აჭყვავებითა,
იცნო სოფელი არ მუხთლებითა,
გონებას მშუღსა განათლებითა
ვჭრბნობ იქონიებ მაგ ხატებითა.

შენ დაიძარხე მცნება მშობლისა,
მღუთის სიყუარული, შემდგომ სისხლისა,
გშუწნის ჭ ვალიც არს ბუნებისა,
იქნები მაშინ სვეტი ნათლისა.

ვიშვიშვი მხოლოდ ვაჟიუ შენს გრძნობას
არ შეხვდეს მგავსი, დიდ სუთოვნობას,
მხუწდრს აბრადიებენ ამ შეერთებას,
ზოგნი ვარსკვლავსა, ზოგნი განგებას.

მაგრამ გვონებვი არავინ იცის
ეტლი ვარსკვლავი თუ არის ზეცის,
ეს შემომქმედმან მხოლოდ მან იცის,
სხუა ვინ ამტკიცებს ჭ ან ვინ იცის!

ვენენა ბარბარე გორგოპისა.

ყუალო რედაკტორო!

დიდი მოვალეობა აქვს ყურნალის გამოცემ-
სა — გაწურონა ხალსისა, განგრცელემა სასარგე-
ბლოს ცნობაებისა ჭ სსუა მოვალეი; ამის გამო
შედროე შწერალნიც ვალდებულ არიან ვიგნისიღენ
უმეცესად იმ სტატიებს, რომელთაც შეეძლოთ
ვაგიოთარება ხალსისა.

თქუძხს ყურნალს ვითსულობენ უმეცესად ის
ქართუძლნი, რომელთაც არ იციან ევროპიულნი
ენანი; შეიძლება ესე ვითარითა შეიროსველთათუხ
გადმოცანილ-იქნენ ხალმე თქუძხს ყურნალში
სასარგებლო სტატიები აწინდელის რუსეთის ყურ-
ნალებისა ჭ ვასუთებისაგანცა, რომელნიც ძირელ
მდიდარნი არიან ამ ევარის თსსულებებითა.

ამ წლის გასეთის სეგერნი ზხელის 45-ს ნო-
მერში არის დაბეჭდილო შინაური ცხოვრება ან-
ვლის კაროლევას საკლობისა ონბორში. კო-
როლევა ვიკტორიას ზღუხ ზარის სამეოფში,

გუნძულსა ზედა უაითს, უმეცესი ნაწილი შესა-
ქცვის ადგილებისა ეკუთვნისთ ზარბცათა ზე ზარბ-
ცესათა; თუთიყუღსა მათიანსა აქუს თვისი ბალი
ზე ბოსტანი, ზარბიკა (1), ორანჟერეა (2), პიტო-
მნიკი (3) ზე საკელოსნო სსლი. ამ ადგილში
კოროლევას შუღნი აჯარებენ ყოველს თავისუ-
ფელს დროს ზე მუშაობენ ისე მოუწყენელად,
როგორც შეჭფერობს ანგლო-საქმის ცოდნა არ
არის იმისთანა ნაწილი ბაღის კეთებისა, რომელ-
ოც იმათ ზედმეწევიით არ იცოდენ გამოცდილე-
ბით. ეს ცოდნა: იქ არის საკუთარი შენობა,
რომელშიაც არის ეკვეთებული ნაძვლილი სამსა-
რეულო ყოველის სხოვაგის მოსამზადისის ეკუთვ-
ნელობითა ზე სსლის ზარბონის ქალისათვის სტი-
როს განძითა, სადაც კოროლევას ემეწილნი ქლ-
ნი, სრულის მწარეულის დედაკაცის ცანისამოსით
ხაცმუღნი, სარბეკენ, ამარილებენ ზე ამზადებენ
მოსავალთა საკუთარის თვისის ბოსტნისათა, რომე-

(1) ზარბიკი არის ბოსტანში დედამული გრძელი ყუთივით
ფანჯრებით დასასურავი, რომელშიაც ჭურბან მიწასა და სთესენ
ბოსტნეულს.

(2) ორანჟერეა არს შენობა, სადაც მოჭევეთ მცენარენი.

(3) პიტომნიკში რგვენ ნორჩთ სესილო შემდგომ გადა-
სარგველად.

ლოაცა შემდგომ იუთვენ იჯათონ ანუ ურიგებუნ
 ღარიბთა შესობლად მცხოვრებთა. კაროლევამ
 დაწერა, რათამცა იმის მკვლევს არ დაჩხესთ არა
 რამე უსწავლულად ჭ აჩოდეს ემ.წული შთამა-
 მებლობა ანგლის სამეფოს სასლისა არ იქმნება
 ხოლმე ისე ბედნიერი, როგორც მეოფობისა დროს
 ოსნბორნში. სასლის მუყრნობის დაწყობილებათ
 ჭ საქმეთ ვარდა, იქ არის კაბინეთი ბუნებითის
 ისტორიისა, შემდგარი უცხოთა ნივთთაგან, რო-
 მელნიც არიან შეგროვებულნი მეფას მკვლებთაგან
 თქლის მტორედის სამეცნიეროს სიარულის ჭ შრო-
 მის დროს, გეოგონზიური ნიმუშები (1), გერ-
 ბარი (2), გუდათ ვაჯეაგებულნი მფირგელნი ჭ
 ცხოველნი, ყოველნი, იმათის ჭ.ზრით, შენიშენის
 ღირსნი, დაწყობილნი თავთაგის სარისხით, ჯერო-
 განის წესით, იმათისავე საკუთარის სელით.

ამავე წლის აქურხალს ილლიუსტრაციაში წაი-
 კითხავდით, რომელ ღენერალმა ვარიბაღდიმ, ყო-
 ფილმა დიკტატორმა სოცილიისა ჭ ნეპოლისამან,
 აჩუქნა ქეჭყასს, რომ მუშაობა არ არის სათა-

(1) გეოგონზია—მიწის მეცნიერება.

(2) გერბარი—შეგროვებულბა გამხმართა ბელასთა თავის
 მკვლელობით.

კლო. გარიბოლდი თუთ სწავდა მიწასა და მიქქონდა
 თვისსავე კელით მასლა დაკერებისა დროს სს-
 ლისა და შემოვლებისა დროს ბლას კედლებისა.
 ისტორია მოგვითხრობს, რომ სსელოვანი
 ცინცინატი, რადეხე გვის აღევანილი რომის
 რესპუბლიკის დიდ ვაჭრებს დროს დიკტატო-
 რის სარისსედი, (1) შემდგომად მტერთ შემუსვრისა,
 მსწრაფლ უტყუებდა თვისსა დიკტატორობასა და
 მიიქცეოდა სოლმე ისევე თვისს გუთნიდებობის
 კელობისადმი.

კიტაის ახუ ჩინეთის იმპერატორი და მინის-
 ტრნი მანნი სენენ მიწასა თვისს საკუთრის კე-
 ლით ყოველ წლივ თათოს დღესა,
 მე მიქონია მრავალთა ქართველთა თანა საუბ-
 რბოა მამულის ბატონობასა და სსლის მოვლა-
 წედი, რასაკურველია, ბევრი მათგანი სწიან ამ-
 სედი რიგინად, მაგრამ არიან უსწავლელოთა მო-
 რის იმისთანანატი, რომელნიც ფიქრობენ ისე,
 როგორც ესმოდა სსლის მოვლა ერთს ამ წელ-
 ში გადაცვალბებულს მოსუეს მებატონებს, ის დი-
 დად თაკილობდა, თუ რომელიმე იმისი რძალი
 იდესმე შევიდოდა დასსედივად თვეოს სამზარე-

(1) დიკტატორი—დროებითი მმართველი.

ულოში, სადაც, იმ მოსურვის ჰაზრით, უნდა შეესვლებოდესთ მხოლოდ მსახურთა შებავონისათა. ამ ეგართ კაცებზედ არ შეიძლება არ ჰქონდესთ კეთილი მოქმედება შემთხვე აღწერილთა მაცალითათა, თუ ექნებათ შემთხვევა შეტყობისა.

უკეთუ ანგლიის მეფის სახლის შულები იკადრებენ სამხარეულოში არამცთუ შესვლასა, არამედ მუშაობასაცა, — დიკტატორი უინციანჯი არ ითაკილებდა, დიკტატორი ვარიბალდი ჭ ჩინეთის იმპერატორი თვსთ მინიხტრებით არ თაკილობენ თვისს კელით მუშაობასა, რასაკვრველია ქართველთა შებავონეთა ჭ ამათის სასწოობადისათვისაცა არ იქნება სასიარკსულო, არამთუ დათვარიგლონ თვისნი სამხარეულონი, არამედ მიიღონ სოლმე თვთ შრომაშიაც მონაწილეობანი.

თქმენს ყურნალში იბეჭდება შრავალი სტისეზი, რასაკვრველია, სტისთა აქურთა ნიჭიერთა ზოგეთა, აწინდელსა ჭ განხილთა საუკუნოთათა, უნდა ჰქონდესთ ამ ყურნალში ადგილი, მაგრამ რადგან შელექსობა ჩვენში საკმაოდ არს ცანგრელებული; ამისთვის უნარავესობა უნდა უძლეოდეს ისტორიულთა ჭ იმ ეგართა სტატუბთა, რომელთაგან მკითხველთ შეიძინონ სასარგებლონი ცნობანი. ჩვენ გვეყანან შრავალნი განათლებულნი

უმაჩვლიი კაცნი, მტოდნენი ეგროპიულის ენები-
სანი ჭ ვიმედულუბით, რომ იმათის შემწეობით
ჭ თქუწნის შრომით ქართული ეურნალი ვამდი-
დრდება იმ ევარის თსზულუბაგებითა, რომლითაც
შეიქნება როგორც სსიაშოვნოს, ეგრეთვე სსსარ-
ეებლოს საკითხავათ.

თქუწნის ეურნალის წარმატების მსურველი
იოსებ შამაცაშვილი.

აშ-სა მაის 1861 წელს.

ადვლნი ჭ სსსარეგებლიონი ეურნის ენახთ
ჭ სხუბთა ხეხილთა აღშენებანი.

აქამდინ კახეთში ეგნას აღაშენებდენ ამ ევართ:
გასტრიდნენ შრუდათ, ღრმათ, არსებთ ჭ არცა
დაუნიშნავდენ სწორეთ სტორის გზებს ჭ რუებს,
თითქუჲს შორს აღმოტრილს დაყენებდენ სიგანესეღ
შეორეს შართან თვთქმის რგასა ჭ ათს საყენსეღ,
ჭ თდესუ აღმოტრილს შარებში გავს ხაყრიდნენ,
შემდეგ მიჭყუბობდნენ გავების გადაბარვას ერთის
გავის შარიდამ შეორუ შარისადმი ჭ დანიშნული
მიწა ეგნახად ძლივ ამენდებოდა. ათის წლიდამ
თსუთმეცს წლამდინ, ამით ეგნასის აღშენებელს

დიდი წარალი ქონდა. წარველათ ამით, რომ მიწის
 შარს ამოსტრიდ, ჭ საჭიროს ზომამდე ვაზს
 ჩაყრიდა, ისევე უნდა აღეძსო ის აღმოტრილი მი-
 წა, ჭ შეორეთ ამით, რომ ასე განიერათ რომ
 შარებს ჩაყრიდა, ათსა ჭ თსუშპეცს წელ-წადში
 ძლივ შენდებოდა ვენახი ჭ ვაზი ძლივს უშობდა.
 ვაზს ბევრის გადაბარვით ძირნი უსუსტდებოდენ
 ჭ გელარ იზდებოდნენ. ესე იგი, ერთის ვაზი დამ
 უნდა ვახეწილიყო ორმოც ჭ ათს ვაზზედ შე-
 ცი. — ახლა ნაცვლად ამისა, რომ ესე ვითარი
 საწარალი ვენახისა აღშენება შეიკვალოს სასარგე-
 ბლოდ, ვენახის აღშენებული დანიშნავს რაოდენი-
 დლიურისა ჭ ვაჭეოფს ვსებათ, შედეგ
 მოიქცევა შედეგის სხითა: წარველად, მოამწა-
 დებს რამდენთამე ათასთ ვაზის რქათ, რომლისა
 ვგარისაცა ჭსურის, შეორეთ იგიდის გრძელს კანაფის
 თაკს, შექოთის დანიშნულის გზიდამ ქვემო
 დანიშნულს ვსამდინ ვასტიმავს ჭ დამაგურებს.
 სწორე ვსაზედ ზალოგებით. შესამედ, ამ სწორეთ
 ვასტიმულს თაკის ვაყოლებს კარგათ მოხნულს ჭ
 დაფარცხულს მიწაზედ ამოსტრის ყოველს ქართულ
 ადლ ნსეგარზედ, ზაჯარ ზაჯარ ორმოებს სამარგი-
 ლესაგით, რომელსაც აქუნდეს სიღრმე ერთს ჩარე-
 ქმედ მომაჯებული ჭ სიგანე ნსეგარ ჩარექი. ყო-

ველს აღმოჭრილს ორმოში ხარვამს ორ ორს რქის
 გზისას. შეორედ, შეძვევ, ამ შარის ზირილამ გა-
 დაზომავს ქართულსავე აღო ნსეგარს სივანეს ჭ
 გატამავს სწორედ თოკს ჭ მოიქცევა ვითარცა
 ზეგით სწერია ჭ ყოველს, ორმოს ერთს
 შეორის ზირ ჭ ზირ აღმოსჭრის ჭ ჩაყრის ვაწყებს
 სწორეთ თოკისავე გაბმით რათა ვენახი ჭ შარები
 ვაწყებისა სწორეთ ამენდნენ. ჭ ოდესაც ესრეთას
 შიშიერებთი აღავსებს პატრონი ვაზისა შარებით ჭ
 დანიშნულს რაოდენობას მიწათას, მაშინ ყოველს
 შარებს გუკვეთებს თირყებს ჭ მიუგდებს წყალს
 აღმოჭრილს რუებზედ ჭ შორწყავს გვირაში
 ერთსეულ; სოლო ვაწყებს შუა მოხსულს მიწაში
 მოიყვანს ბაღეულობას ჭ სსუ. ჭ სსუ. ბოსტნეულებას
 ჭ აღმოსულთ. ბაღასთ, მოხსულს მიწაზედ ანუ
 ვაწყებს შუა ყოველთვს ვასოხნის. ამ გვართ
 აღვსილი ჭ ნამუშაგარი ვენახი შისტყმის პატრონს
 სრულს მოხვალს ოხსს წელიწადს, ჭ ვაწყნოც
 იქნებიან ფრიად ძლიერნი ჭ ღონიერნი. გარდა ამისა
 პატრონს შეუძლიან მაშინვე ვაზის ყრის დროს
 ყოველს ვაზის ზირზედ ჩაურავოს სწორეთ სენი
 იფნათანი ანუ თუთისანი ჭ აღუშოს მათზედ ყურ-
 მნის ვაწყნი, ანუ გააკეთოს სეივანებათ. —

(ვანგრძელებს შეძვევ ნუშერში.)

თ. ს. გუყრგენიძე.

წერილი რედაქციორთან.

II.

«მოხარე მის და ჰეუ, ვინც ლექსი თქუის
ერისი ირისი.»

რუსთაველი.

მიიღებთ თუ არა ამ წერილს, მე ვგონებ, იცუვთა:
«მცონათა ადგოა ზღაღადგო.» მართლადაც — ხუჭუნ
გინა ზ ვინ წერა! მეგრამ მეორე ანდასკ ანბობს:
«ნუ შენგელ ნუ ებნებო, ნუ გამოხვალ ნუ
სთართო.» რაღა გუწუობა, რასან ავიღე კალამი
ღ გწუე წერა, უნდა კიდევ დაეასრულო. ესკი,
რომ ამ უამად ნსეგარი ვერა ვაქუ; ბეგრი რამ
დამინა კიდევ სთქქელი; მისკეს. ამისი ეს არის,
რომ შექდევ უფ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკისა
ერისთავის თარგმნასე აქამოქდევ ისე მიბუუსი უუ-
რები, თუოქოს ეს არის ესლთ გამოველ მეოქი
ბ.ს.სს.ნიდა. მე მიკვირდა, თუ რამ გამფოთთა
უფ. ჭავჭავაძე ასე შწარეთ, ზ როდესაც ამისე

ფეიქობდი, მამეონდა მასუხი თუო უფ. ტავ
 ტავამისა, რომელიც იცუვს: «მე მშობელე მამას
 არ დაუთმობდი ჩუენ მშობლიურ ენის მიწასთან
 გაწორებასო.» სწორეთ მოვასხენო, ეს სიტყუეწ-
 ბი ასე გაბედეთ ზ დიდუელად არიან გამოთქ-
 მულნი, რომ მეეონა უფ. ილია ტავტავამს
 სწავია ენი რომელიმე დიდ ქრთველ
 შწერლისა. მეეონა, შავშინდი ზ რომ უბრლო
 არსარუსითა აღარ შეყენებნა საქრთველოს ენი,
 მე ვისურვე განსიღვა ამ ენის ქმნილებათა ზ
 შეყუბა, თუ რადენი მისხალი ზიუციკური ნიჭი
 მეეს მათში.

ეგვლე ენენი. უჰ! რა სწარელი ნოციან
 სუნი მეცა! მეგრამ შექმელ როგორც იყო ზ
 ამოვალავე დაბეებული ცისკრები. მოავალი მათ-
 ენი იყო შექმელი თეგუბასიგან ზ ახ საკურ-
 ველუბა! შემდეგ სამის დღისა, რომელიც მოუნდა
 ცისკრების გამობის, ენასე რომ არც თუ ერთი
 ლექსი უფ ილია ტავტავამისა არ იყო თეგუბა-
 სიგან გბოლ ნახლები. ალ. ტავტავამისა, ნიკ.
 ბარათმულსა ზ სხუათა შწერლათა სხანდა მხო-
 ლოდ გვარი ზ დაწყები ლექსებისა; დანაშთენი
 იყო მათათ დახრული.

დიდად ეგვეკირდი ესრეთის სწასათბი. მაშინ

ვიფიქრე: თავები მუსიკის დიდი პატონისმცემე-
ლნი არიან ზე, ეტყობა, რომ უფ. ტვტვამის
ლექსები უნდა იყვნენ, უმჯობელა, სსუ, ლიხე-
ბითა ვარდა, დიდი კეთილ სმოყანნი.

ამიტომაც დიდის მოწიწებითა ავიღე უფ. ტვ-
ტვამის ლექსები ზე დაუსწე კითხვა:

უფ. ტვტვამე გამოვიდა ლიტერატურის ასა-
რუზსკე, გვონებ, **1857 წ.** თავისის პატარა
ლექსით — «ხიჯი».

გაიარეთ ერთა რომელთა მე ბურს იაშმუკასკე; იქ
დაგვხვდებით ასალი მარსწვლე დურგალი, რომელ-
საც გამოეცნია პირუჭლი თავისი სელოგენება პატარა
ყუთი; შორიდან სედავთ ყუთი არის გარანდული,
ლაქ წასმული, უბრალო სისა; მერე ასლი გა-
სინჯეთ ზე მამსვე მისუებით, რომ ის არის ასალ-
მარსწვლის გაკეუებული. ესრეთი არის უფ. ტვტვ-
«ხიჯი» — გააღდენ გარანდულია ზე შიგნი...
ეს იყო პირუჭლი მისი თსსულებს, ზე ვინ მოი-
თხოვდა მისგან მუცს, ან ვინ თასოგებდა ყურს.

1859 წ. უფ. ტვტვ. მოუსშირა ლექსებს, რომ-
მელნიცა არ განსხვავდებიან «ხიჯისგან» სისუ-
ბუქით, თუქცა იგვირგვინებიან, მალაღის სს-
სელებით — «ძილღერით, ვაცეთი, ბაირონით» ზე
სს. ამ დიდ მოლექსეთ სსელებით უნდა დაგბრ-

მეგობრისა მკითხველი, თუმცავე სიტყვით, რომ ნამდვილ. იმათ თსსულებიდან გადმოვიღოთ ჭ არა რუსულით. ავიღოთ რომელიმე ლექსი უფ. ჭავჭავაძისა, თუნდ «ცრემლთა შინა ხუეუში» (შილდერით) ეს ლექსი იწეობა ასე:

«მოღვლევენ ზვირთნი, მოქუსს მდინარე,
 ცვე ყრუთ ზმაურობს, ორ მსრივ მდგომარე,
 გადახრილ წყლისკენ ზის ნაზი ქალი,
 უფრო ღელდება მდინარის წყალი,
 უფრო სიბუთით ზვირთი ზგაგდება;
 უნებურ ცრემლნი ქალის არ მალვით
 ორ ნაკადულთა თვალით იღვრება
 ჭ მის სიძღვრა მოდის წყალსავით.

უკაცროდვი არ ვიყო უფ. ჭავჭავ. მარამ, რომ არ მესმის, როგორ არ ვიკითხო!... არ გამიგონია ჭ ვერც წარმომიდგენია, როგორი უნდა იყოს «გადახრილი წყალი» ან ესა «უნებური ცრემლნი ქალის არ მალვით» თუ «ქალის არ მალვით იყო» ცრემლი, მაშინ «უნებური» რაღათ იქმნებოდა?! — «ორ ნაკადულთა თვალით იღვრება». ნუ თუ ნაკადულს თვალები აქვს ჭ ისიც ორ ნაკადულს ერთი თვალი?!

«ებრაულ მელოდიასი» უფ. ჭავჭავამე ვეობმანებს: «სტიროდეთ!... თუმცავე არ მესმის, რა არის

სატირელი?! მეტადრე ამ სამს სტრუქტურაში.

«სტიროდუო... სადაც ღმერთი იმ მეტირდით
იმყოფებოდა იმა ალყესა

არჩან, ვისაც ღმერთი არა ჰყავთ »

ბევრი გვერდები მარამ აზრს ვერ მიუხვდა. მარ-
თალია კარგი მწერლობაცკი ის არის (სოციალის-
ტიკური), რომ ვერ მიუხვდე მწერალს აზრს:
სე ანბობსო! საკვრეული ღრმა ლექსიაო!.....

ავიღოთ ასლა საკუთარი ტკეჭი რომელიმე
ლექსი, მაგალითად: «არაგვი, ელგია, მავს თვა-
ლებს, მწუსარება ზ სს». ამ ლექსებში ავტორი
ვამოიჩენს ნიჭს ბუნების განსაკუთრებების შენ-
იკებისს. აი მაგალითად. არაგვს იუბნება პოეტი:

აიქ, სადაც შენსა მღვრიესა წყალსა,
შეურეგ სმოგან მფოთიან ტკეჭარსა.»

არაგვი თვისის სიწმინდიო ზ სიმსწრაფლიო
ზ გათქმულიო ზ არა მკაცარი იგებობა ევლორს მკაცარი
არაგვათ მიუღია.

«ელგიაში» უფ. ტკეჭი ამბობს.

«როსლა გვიქნება ჩუქნ ვალეიქება.»

უთუოთ, სუმრობით მოსკლია ესეთი ლექსი,
თორემ განა თითონ უფ ტკეჭი არ იყის, რომ
არ ითქმება

«გვიქნება ვალეიქება» ზ უნდა იყოს: როს

ვეელირება ხეინ ვალზედა.

«მწესარებაში» ამბობს:

«**ჭ** მეცა შკლავდა მწესარების ისარო ტვილით.»

უფ. ჭავჭ. ვერა ყოფილა კარვით შეწესებულა, თარემ აისარო ტვილით» ყურს არ ათხოვებდა. **ჭ** არც მესმის, რა სხეულება ეჭირებოდათ ისართ? რეგმატიზმა! — ეს კიდევ არაფერი; მარამ როცა უფ. ჭავჭ. იპერობს კალამს სიმშვენიერის გამოსახულებათ, მეტადრე თვლებიას, მაშინ ყოველი კრიტიკი იცემა მის წინაშე; აქ გამოიხენს ნიჭს მკლარებისს, **ჭ** შუბნისს «ვალებს აქცევს — «მოჩვეთა, უბათ, მელნის გუბეთა,» ამ ვერა წვრილმან შეკითხვებებს შარვალს ვადმოვიწერდი, მაგრამ იმათთვის დრო არა მაქვს.

მე როგორღაც წერის ვუნებაზედა ვარ **ჭ** მსურს მოვძებნო ზოგისა უფ. ჭავჭ. ლექსებში. ვიდრე შეუდგები ამ საგანსა, მე სტიროთ დავიხსნე გსთქუა რადენიმე სიტყუე ზოგეტიკურ თხსულებზე სანოგადოთ.

ზოგეტიკურ თხსულებაში აზრი გამოისატება საგნებითა არაიმ სიტყვებითა, რო მელიც მხოლოდ გვესმის **ჭ** გერკი წარმოვიდევნს მის ჭორმას. ასე, ზრუტ, იტყვს თუ მსურს გამოხატვა კაცის ცუდის მსობისა; «ეს კაცი არის ვველი» ჭილოსობიურ ენაზე იგივე აზრი ითქ-

რ. ზ.

შეგბ. სსუ. ევარად: აბორიჯიათ ნირველში კაცის
 ნაკლულეგანების ვსუდავთ ეველის ჭორაში, მერჟე.
 იავე აზრს, მხოლოდ უარიელ სოცეაბში. პოე-
 ტიკურ აღწერაში ბუნება უნდა იყოს გამოსახული:
 ცხოვლათ, რათა უფრო ნათლად წარმოვევიდგეს
 თვალწინ აზრი, რომლის გამოსტყვაცა ჭსურს
 ნავეცს.

შაკლუე, რათა თქვას მხოლოდ ის, რაც მსა-
 ხურებს გამოსახატვით იმ აზრისა, რომლის გა-
 მოთქმაც ჭსურს ნავეცს.

უნდა ჭქონდეს ძალი, რათა მსმენელს ეიმოქმედოს
 ისე, როგორათაც სურს ნავეცს ჭ არა ისე, როგორათაც
 უფ. ტაბუტ ვკობანებს აიტირეთ ჭ როდესაც ვკითხუ-
 ლობთ ვეცინება; აცოლუძქითო ჭ თუანვე ვეამინებს.

სრულდება, რათა აზრები იყოს ვადამულო
 ვვირისცით ჭ არა ვადეგანებულო. ამას ვარდა,
 ნავეტიკური იხსულებდა უნდა იყოს კეიილსში.
 ვანი, რათა არა სტანჯედნენ სმენას თავისის ვაუ-
 თლელის ვეგეცით ჭ არც ისე დამბლათ მათ-
 რედნენ ფესებს, როგორათაც უფ. ტაბუტ ლექსები.

ქართული მოლექსების ბედი ის არის, რომ
 ქართული ლექსი თვის ბრუნვაში იცვლის სამს
 ანის ჭ არა ერთს, როგორათაც რუსულს ენაში.
 ამისთვის ისინი, რომელთაც ნავეცია მიიხნათ

მხოლოდ რიქმებში, ადვლთ მოინავეებენ მათ;
 აი ამ ვგარი ლექსი:

უფლისა

ჩუჭნისა

ანუკრუციკისა

ღ მის გამანათისა. ჭ სს.

მითამ რაცოდ არ არის ლექსი? სამი ასო მოდის
 ბოლოში რიქმათი! თუნდ კიდევ ეხვს:

კამბეჩებია,

კარგებია,

ნასყიდებია,

გამოქნილებია ჭ სს.

რასაკვრეგლია რომ ამისთანა ლექსის მოთამაშე
 შერეოს არ მოეწონება ჩსრუსძე!

თუ არა გვერათ, რომ თუაქმის, სულ ასე
 აქუს ნაწერი უფ. ჭეჭეჭემეს თავისი ლექსები,
 გადაიკითხეთ მისი იხსულებები ჭ მაშინ, თუ
 ინაოგით ერას მარდს ქართულს ლექსი, როგორ-
 საც შესვდებით მეტადრე უფ. აკ. წერეთლის
 იხსულებებში, ბოდიშს გისდი.

დასამტკიცებლათ ჩემს სიტყვებისა, მოგიყვან
 თითო ცაებს უფ. წერეთლის ჭ ჭეჭეჭემის
 ლექსებიდან.

აი ცაები უფ. წერეთლის ლექსიდან, როდუ-

ს.კ ქალი წამოდება ჰერსე ღმრე მოვა ფან-
ფარსთან.

„ქუდუღათ ზარბაზი ფრეფრს
შოადეცა, აუღბი თუღრს,
აგღბს, გულო მალა უძეღრს,
შეკრდს ჰერსე დაჭუარსალუბს.“

„ი ნძღული ზაუხია! გულო ვაძღლო!
ესლა წიკვისყო უფ. გეგეგემის ცუქია:
აერსელ მეკ, ძმნო, მეც შეკარებია,
გულო წმნდ ალით მეც ამნაუბია!...
რა მს უყვარდი ზ მც შეყვარდა,
ცხნფრბი ხეწნი ბუგის კა ვს გვიქდდა.“
უჭ! ვან. იქ არის ზაუხია! ეს არის სოხარსი

სსუ. აა რა!

ზაენი, იქნბ. შეკრდენ ეგვბი, რამ მე ამო-
მეხოს, ვნცბ, ეოთს. კოეი ცუქი ზ მუო
რეს ცუქი; აა, კადგ ვგმეორბ, ვინც უფ.
გეგე. ლექებ. ანაენს ერის ქოთუღს ლექს,
ღად რსეცა ქნქნა იქნბ.

ეს არის ზარი მყოლის გეგე. ლექსებისა ზ
ვინც მოხდა მქს მამბი ანაენს ზაუგ კური
ერთი რამ ღიოსბა, ცეფეოთ დროს დაჭუარცეს.

უფ. გეგე. ლექსბი არიან უეამნო, უფე-
რუთი, უნდალი ზ ასეთი მძიმე, რამ გერა თა-

გვის მუცელი გერ მოინგლებდა ზე ეს იყო
მიზეზი, რომ მისი ლექსები იფენენ კბილ უხლუ-
ბელიო

თუკა უფ. ჭკუტ უწოდებს ჩასრუსამის ლექ-
სებს «ცეცხლავით მძიმეთ» მხოლოდ მისთვის, რომ
არიან ოც მარცვლოვანი; გარნა ყოველმა იცის,
რომ არა ისე რიცხვ მარცვალთა, როგორათაც
მასლა არის მიზეზი სიმძიმისა: ოცი მარცვალი
ბალი, რასაკვრველია, უფრო სუბუქია, გიღრე
სუთი მარცვალი ცეცხ. ამას გარდა, უფ. ჭკუტ.
ლექსებში, არა არისრა ქართული, გარდა ს. ცეცხ-
ლისა (ისაც სუფევლასი არა.)

გინსაგეთ რუსის დეჩიკი მორთული ჩერქესუ-
ლათ?... იმაზე სასაცილოს რაღას ნს. ვით! .. ცანი-
სამისზე შესედეო—წმინდა ჩერქესა, ზე რაკი
გაიგლის ზე მიტრიალ მოტრიალეება, მაშნეე
იცნობთ მოუსეშავს სალდათსა- ესრეანი არიან უფ.
ჭკუტ. ლექსებიც.

ერთს სწეულებას გზაულობთ მის ლექსებში,
ეს განლავსთ — მარად გინესა ზე გულმცკინეეულობა
მამულისათვის.

მართლია გეცემა თქუა სიკუდილის დროს,
რომ «ვისაც ჭსუას კარგი წყარო, უნდა უფვარდეს
მამულიც, ბუნებაო ზე ნათესაობაო»; გარნა მან

გამოსთქუა იმით მსოლოდ ერთი მასგალთა პირობათაგან, კარვის მწერლობის, ჭ არა მარგო ციროლი ჭ კენესა. ამასთვს, გგონებ, რომ უფ ჭგეტ. ციროლია გერ აფობოს ბუანაჟეს ს. ცილო?.

მარამ არ არისრა უშიწყსოდა: გგნესით ბუგოს აუხკეგს თვალებს ჭ მით დაჭფარავს ლექსების ნაკლულებანება.

უ. ჭგეტვამემ იცოდა, რომ დაფნის გვ. გვნის მოსანაიებლად არა კმარა მოგლე თხსულებანი ჭ მაშინ ვადაგლო თვალი დიდს ზოემებს; რასიკვრეგლითა უფ ჭგეტვამემ არ იკადრებდა კ. სლოვის ჭ მიკვოს კ. დეცა რომ ბაირთნი ჭ მ. ლლური მძვლობით ვადაიხნენ?! მაინც კიდევ კარგს ლუკმას ხაგლო კონჭი აჭაფი აბრეკსა.

მე გგონებ რომ ჭჭობს ისე კ. სლოვის იხსუ. ლება თარგმნოს, თუ კელი ემაგება ცუდა მწერალს, ვიდრე ლერმონტოვისა, ჭ ისე ნაკლულეგანად გამოჩინოს იმისი მშუტწიერი ზოემა, რომელშიაც ცხოვლოდ ჭ ნამდვლოდ ვადამოღებულია ბუნება, როგორათაც უფ. ჭგეტვამემ.

თარგმანი არის თრ ვგარია: ერთი, რომელიც ითარგმნება ლექსითი ლექსად ჭ მეორე თავისუფალი.

უ. ჭგეტ. არ ირჩევს ერთს რომელსამემ თარგმანის ვგარს; ის, როგორათაც მთავრალი სალდათი,

სან შობილღეს გეფელ-გეფელ ზ სან სუცის თა-
ვის ქალს, ე.მ.დ.ს გზ.სუ, — მამამ მუქლეუბი
ღულუტობს ზ ბობაცოთ დუცასება კუდალს; ასე
იმეორებს სძაოთ.

უ. ტა.ტ. იწეობს ბობლით გეფელ-გეფელ:
„გეძათი არის დიდი სოფელი,
იგი მდიდარი არგის ამუცხს სარფს;
მისი სძალია მისი კეფელი,
მისი მუხათი ბობლოს ველსე დგას.“

რასკვრეულია ამ ლექსებში სცხობა ცრუ
ხერქისს — დუხაკს.

მემდეგ უფ. ტაგეტ მერად აღრე ანბებს გე-
ფელს თავს ზ კეუმ. ის ანბობს:

„მის თავ სუფლოთ მულოა გულები
ომის ცუცხლში აქისა მოკალულები,“

აქ მოარგუნულს თაყსებურათ მოუბრუნებია
ღერძონტოვი ზარუკულმა: მოკალე ნაშაყს სო-
ფობის, ასე ამბობენ: აქს გუვი გარეფან არის
მოკალულო, თორემ მენიდან ცარიული არისთ.
გვთქვებ უ. ტავი არა ნდამაა ეამოს-ცუტ სიყალ-
ბსა, ეათსა — გუკვტობისა, როგორათაც არის
რესულთა:

„Его свободные сыны

Въ огняхъ войны закалены“.

Закалены ქართულს ენაჲ არის წალობა, *ჰაიანი*
 რომელსც ნაშვის სიძვირეს ჰ არა სეუღბეს,
 როგორათაჲ მოკლვა.

უ. ტავი გიღვ ძალი დიფხესეა კედელს:
 აუღვიანი დაუ ცხეჲ მოცუოჲსა
 რუსული ანაზ. ანობის:

“Что Русскому здорово, то нѣмцу смерть.”

ხეწი ქეჭესაჲ დაუ არა ცურას ცხედა ჰ
 გვინებ არც ლუიმ-სკავი დეიძღუქს, რომ
 აგრე თრევით ვადმოვიცანა იმის ლექსები?!

ვაკლის ცოცხლ ჰ გიღვ ცდილობს გამოსე-
 ლას შუი ენაჲ ჰ ამბობს:

ანამ არ ელიან რუსსა ურას,

იმ სმისეკრძღოთა სეც ბა სეუმაღსა »

ჰ შემდეგ რამდენსაჲ სეცოქ-ნისა.

აჲ მის გრემა მის მსიანი თვალნი

შეწესებულთ სმარა დამბოდენს »

ბადამ კი ვისდი, მეამ რეგორღვ იტვიმა
 შევდივარ, რომ უ. ტავტავემ იტვილს თეძუა
 რუსული მანც. შეძლებს ერთი რამ მსრი გამოა
 სოქებს რამდენსე ვკათთ; მსრიკი უნდა დამჩეს
 შეუგულუღ.

„Не ждут ли Русскаго отряда,
 До крови лакомыхъ гостей?..“

განა თუ ეს იმას ნიშნავს, როგორათუც უფ. ჭავჭავაძე უთარგმნია ჭ არა ამას: სოქ არ მოელო-
ან რუსის ვ. რს, იმ სისხლის მოყვარულ სტუ-
მარა?!...

როგორათუც სედაგო, ეს აზრი სულ უკუღმა
სმენია უთარგმნელს ჭ ეს არი სტრიქონი.

„И вокругъ себя блестящимъ окомъ
печально водить онъ порой,“

ნიშნავს შემდეგს: «ვიცნო თვისა ბრწყინვალე
თუღსა დაღუნებული გადავლდება დროსა ჭ
დროსა, ჭ არა მას:

«დაბოძენ სძირათ»

რის აზრით გადაუბრუნებია საბრალე ლერძონ-
ჯოვის ძეგლები?! არა ვგონებ თუ რიფქების ემ-
სით, ამისათვის რომ უ. ჭავ. თავისებურათ გამო-
იყენს რიფქებს სიდავ დატარდება: მრავლობით
რუსკეში ვადიჯნდა წინადადებებს ჭ გამოვიდოდა:
მოდიან რუსები,

სისხლი ჭამია სტუმრები.

რა უმეს ამ ლექსებს სხეთა შორის! შემდეგ
შესვლით რომ უფალი ჭავჭ. ამ სტისს:

Ее хранилъ я какъ святыню.

სთარგმნის ესე:

«მას (ქ.ლს) ვინახავდი საღმრთო საგნითა».

ასე არა აქვს ლერმონტოვს. «ინასვდა ნაწი-
ლებსაგათა,» ამბობს ის, ჭ არა ს. ლმართსაგათა;
საღმართს ინსვენ დასკლავად.

როცა უფ. ტავტ. შუასება ბუნების აღწერას,
მაშინ მეცად სტამბის თვის ხანის სი-
მებს:

«ეროსელ ვალმა ყრუ უდაბნოსი»
მალაა ნაიქუმი! მოდი ჭ მისგედი? ..

«მას აქეთ, ვანბობ, იმ მჯანგველ ფიქრით

მე დავეორვეი აი ამ მთებზედ,

როგორც ვეული ცხენისა ჩლოქით

ვადასრესილი ვორვეა ველზედ »

მშეწნიური შედარება, რომელიცა ლერმონტოვს
აქვს გამოხატული ორი კალმის მოსმითა, ესრეთ
